ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი 4 ივნისი 2014 წელი

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში - ,,სასწავლო ცენტრი"), წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის **ეკატერინე მრულიშვილის** სახით და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") წარმოდგენილი მისი რექტორის, აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას** სახით, (შემდგომში - ,,მხარეები") თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის წინამდებარე პირობებზე:

1. **მემორანდუმის საგანი**

   წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2. **მემორანდუმის მიზანი**

   წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ისეთი ერთობლივი პროგრამების, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების, რომლებიც არ არის დაკავშირებული აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან, დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი კვლევების, სამართლის პოპულარიზაციის, საგანმანათლებლო საქმიანობის, სტუდენტებისა და იურისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისაკენ.

3. **მემორანდუმის ამოცანები**

   ზემოთ ხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან ერთობლივი ძალისხმევით განახორციელონ:

   3.1. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო ცენტრმა უზრუნველყოს სასწავლო ცენტრის რესურსის (მათ შორის, თბილისისა და ყვარლის ოფისების) გამოყოფა უნივერსიტეტისათვის შეღავათიან პირობებში.

   3.2. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო ცენტრის მიერ უნივერსიტეტისათვის და მისი თანამშრომლებისათვის ტრენინგების ორგანიზება.

   3.3. მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები;

   3.4. თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების რეალიზებისათვის აუცილებელი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;

   3.5. სხვა ღონისძიებები ზემოჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად.

4. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

4.1. მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამების, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების, რომლებიც არ არის დაკავშირებული აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან, აგრეთვე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.3. წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე.

5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად;

5.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხუთი წლის ვადით;

5.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი.

მხარეთა რეკვიზიტები:

„სასწავლო ცენტრი“

მისამართი: ვახტანგ გორგასლის ქ. 24,

0114 თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32) 2 932250

ელ.ფოსტა: emrulishvili@justice.gov.ge

ვებ-გვერდი:http://www.tcj.gov.ge

ცენტრის დირექტორი

ეკატერინე მრულიშვილი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: საქართველო,0179, ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. N1

ტელ.: (+ 995 32) 22 11 02

ფაქსი: (+995 32) 22 11 07

ელ. ფოსტა: law@tsu.ge

ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge

უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი

ვლადიმერ პაპავა